საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

513-01-01-10-2-202102121518

N 01-01-10/513
12/02/2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს რეგიონში ახალი ტურისტული მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სტიმულირების საფუძვლების შექმნა.

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა ხულოს მუნიციპალიტეტში ხიხანის ციხის ბუფერულ ზონაში დასასვენებელი-სარეკრეაციო სივრცის კეთილმოწყობა-განვითარება, ხიხანის ციხის ისტორიული ადგილის ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა „ხიხაძირის ხეობაში ტურისტულ-რეკრეაციული ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია. კონცეფციის შესაბამისად საპროექტო ფართობი შეადგენს 11 700 კვმ-ს. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება ტურისტულ-საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, აშენდება ადმინისტრაციული შენობა. ტერიტორიაზე განთავსდება სუვენირების მაღაზია, მცირე მოცულობის კაფე, სამედიცინო პუნქტი, სველი წერტილები, ფანჩატურები, სასეირნო ბილიკები, ავტოპარკინგი და სხვა. მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნება არსებული

ლანდშაფტის ბუნებრივი გარემო. დაგეგმილი შენობა-ნაგებობების მასშტაბი და სივრცით-კომპოზიციური წყობა იქნება დაბალი ინტენსივობის ხასიათის მატარებელი.

კონცეფციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა „გარემოს დაცვითი კოდექსი“-ს შესაბამისად განიხილა კონცეფციით დაგეგმილი განაშენიანება და მიიჩნევს, რომ შემუშავებული პროექტი არ ექვემდებარება გზშ-სა და სგშ-ს პროცედურების გავლას, დაგეგმილი სამშენებლო განვითარების შინაარსისა და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის გამო.

გთხოვთ დაგვიდასტუროთ აღნიშნული საკითხი, სამუშაო ჯგუფის მიერ მითითებულ დაგეგმარებითი დოკუმენტის შემუშავების შემდგომ ეტაპზე გადასვლის უზრუნველსაყოფად.

დანართი: ხიხაძირის ხეობაში ტურისტულ-სარეკრეაციო ტერიტორიის
განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.